ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის
ოქმი № 3

ქ. ლანჩხუთი **02.04.2025 წელი**

16:00 საათი

სხდომას უძღვებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი.**

სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრები: ვერიკო კვირკველია, ნინო მშვიდობაძე, ლოლიტა ურუშაძე, კარლო წილოსანი, რეზო კვერენჩხილაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **ეკა გუჯაბიძე,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის, კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის და ტურიზმის განყოფილების უფროსი **ია ჩხაიძე,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ხელაძე,** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (იურიდიულ საკითხებში) **რუსუდან გვარჯალაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ჭანტურიშვილი.**

სხდომის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

2. გამორჩეული სახელმწიფო მოღვაწის ავთანდილ ჯორბენაძის ძეგლის (ქანდაკების) განთავსებასთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საინიციატივო ჯგუფის მიმართვის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

3. ჩიბათელი მხედრების სახელობის სკვერში, გურული მხედრების ძეგლის (ქანდაკების) განთავსებასთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საინიციატივო ჯგუფის მიმართვის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** და აღნიშნა, რომ მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესი (შემდგომში – წესი) შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა“ და „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. წესი ვრცელდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე, მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

წესის მიზანია მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების საკითხების შესაბამისი სამართლებრივი მოწესრიგება.

მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლი (ქანდაკება), ობელისკი, მემორიალური დაფა და სხვა მემორიალური ობიექტი უნდა იყოს შინაარსობრივად მიზანშეწონილი, გამომდინარეობდეს კულტურული და სახელმწიფოებრივი ფასეულობებიდან. ამავე დროს, პროექტი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციასა და კანონმდებლობის მოთხოვნებს, მორალურ და ზნეობრივ ნორმებს, მიზნად არ უნდა ისახავდეს დისკრიმინაციასა და პიროვნების შეურაცხყოფას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების) განთავსების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით.

მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების) განთავსების წესი

1. თვალსაჩინო ისტორიული პიროვნებების, ეროვნული გმირების, მწერლების, გამორჩეული სახელმწიფო მოღვაწეების ან/და ქვეყნისა და ერის წინაშე განსაკუთრებული ღვაწლის მქონე პიროვნებების (შემდგომში – შესაბამისი პიროვნება) სახელის ხსოვნისა და უკვდავყოფის ან ისტორიული მოვლენის (ფაქტის) ხსოვნისა და უკვდავყოფის მიზნით, მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების) განთავსება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ შესაბამისი პიროვნების გარდაცვალებიდან (ან/და შესაბამისი ისტორიული მოვლენის, ფაქტის დადგომიდან) 20 წლის გასვლის შემდეგ. ამ წესიდან გამონაკლისის დაშვების (20 წლის გასვლამდე)

მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილება შესაძლებელია მიღებულ იქნეს საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ ნახევარზე მეტის მხარდაჭერით.
2. ქანდაკება შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ პიროვნების გამოსახულებისაგან ან პიროვნების გამოსახულებისა და მასთან ასოცირებული სხვა უძრავი ძეგლისაგან. ქანდაკებას შეიძლება გაუკეთდეს შესაბამისი ტექსტური ნაწილი (წარწერა). ქანდაკების ტექსტური ნაწილი სრულდება საქართველოს სახელმწიფო ენაზე. აგრეთვე, ასეთი ტექსტი, ქართულ ენასთან ერთად შესაძლებელია შესრულდეს სხვა ქვეყნის სახელმწიფო ენაზეც.
3. ქანდაკების განთავსებასთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილობითი წინადადებით შეიძლება მიმართოს საკრებულოს წევრმა , მუნიციპალიტეტის მერმა, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, დაინტერესებულმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა ან/და საინიციატივო ჯგუფმა.
4. მიმართვაში მითითებული უნდა იყოს, მიმართვის ავტორის აზრით, თუ რომელ ქუჩაზე, მოედანზე ან სხვა ტერიტორიაზე უნდა განთავსდეს ქანდაკება. მიმართვა უნდა პასუხობდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 78-ე მუხლით გათვალისწინებულ საჭირო მოთხოვნებს.
5. ქანდაკების განთავსების თაობაზე მიმართვა უნდა იყოს წერილობითი და დასაბუთებული. მიმართვას უნდა ერთოდეს:
ა) არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის პროექტი, ესკიზი და მოდელი, შესასრულებელი მასალის მითითებით;
ბ) არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების მისამართი (ადგილმდებარეობა) და საჯარო რეესტრიდან ამონაწერი (მიწაზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი), საკადასტრო გეგმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
გ) არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განსათავსებელი ტერიტორიის საერთო ხედებისა და აღნიშნულ ტერიტორიაზე არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განშლის ამსახველი ფოტომასალა.
დ) ქანდაკების განთავსების მიახლოებითი საფინანსო გაანგარიშება და დაფინანსების წყარო.

1. ქანდაკების განთავსებასთან დაკავშირებული, საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხის საკრებულოში წინასწარი მომზადება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით .
2. ქანდაკების განთავსებასთან დაკავშირებით საკრებულოში შემოსულ წერილობით მომართვას შეისწავლის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია. საკრებულოს კომისია საკითხის შესწავლისა და განხილვის შემდეგ ადგენს დასაბუთებულ დასკვნას ქანდაკების განთავსების მიზანშეწონილობის თაობაზე.
3. თუ მიმართვის ავტორი საკრებულოს სთავაზობს ქანდაკების განთავსებას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით, ასეთ შემთხვევაში საკითხი დადგენილი წესით განსახილველად გადაეცემა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, აგრეთვე ეგზავნება მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, რომლებიც ვალდებული არიან საკითხის გადაცემიდან 10 კალენდარული დღის ვადაში შეადგინონ დასკვნა ქანდაკების განთავსების პროექტის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსების შესაძლებლობისა და მიზანშეწონილობის თაობაზე, რომლის შემდეგაც დასკვნები გადაეცემა საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას.
4. საკრებულოს კომისია ქანდაკების განთავსების საკითხს განიხილავს თავის სხდომაზე. ერთ კონკრეტულ საკითხზე შეიძლება ჩატარდეს საკრებულოს კომისიის რამდენიმე სხდომა. ასეთ

შემთხვევაში, საკრებულოს კომისია თავის დასკვნას ადგენს ბოლო სხდომაზე. საკრებულოს კომისია ვალდებულია საკითხი განიხილოს და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა და მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დასკვნების გათვალისწინებით კომისიის შესაბამისი დასკვნა შეადგინოს საკითხის მისთვის დადგენილი წესით გადაცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

1. საკრებულოს კომისიაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობას იღებენ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის საჯარო მოხელეები შესაბამისი რეკომენდაციებისა და კონსულტაციების გაწევის მიზნით.
2. ქანდაკების განთავსების საკითხი განიხილება ამ წესის შესაბამისად, მაშინაც კი, როდესაც ამ საკითხის წარდგენის ავტორი არის საკრებულოს კომისია.
3. კომისიის სხდომაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით დგება სხდომის ოქმი, რომელშიც სხვა შესაბამის საკითხებთან ერთად აისახება კომისიის წევრების მიერ განსახილველი საკითხის ირგვლივ წარმოთქმული მოსაზრებები, შეხედულებები და კომისიის საბოლოო გადაწყვეტილებები. კომისიის დასკვნის მიღების დროს გამართულ კენჭისყრაში მონაწილეობას იღებენ, კომისიის თავმჯდომარე და საკრებულოს ის წევრები, რომლებიც არიან ამ კომისიის შემადგენლობაში.

1. საკრებულოს კომისიის მიერ დადებითი დასკვნის მიღების შემთხვევაში, ქანდაკების განთავსების საკითხის (წინადადება და მასზე თანდართული მასალები) პროექტი, საკრებულოს შესაბამისი აქტის პროექტი და საკრებულოს კომისიის დასაბუთებული დასკვნა მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში საკრებულოს თავმჯდომარის წერილობითი მიმართვით შესათანხმებლად ეგზავნება საქართველოს კულტურის სამინისტროს.
2. სამინისტროს მიერ საკრებულოსათვის თანხმობის (დადებითი დასკვნის) მიცემის შემთხვევაში, თანხმობის მიღებიდან 1 თვის ვადაში, საკითხი დადგენილი წესით განიხილება საკრებულოს სხდომაზე. ქანდაკების განთავსების საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, საკრებულო დადგენილი წესით იღებს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – განკარგულებას, რომელიც ეგზავნება ქანდაკების განთავსების თაობაზე მიმართვის ავტორს, ასევე განკარგულება შეიძლება გამოქვეყნდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.
3. საკრებულოს კომისიის მიერ უარყოფითი დასკვნის მიღების, სამინისტროს მიერ საკრებულოსთვის თანხმობის მიცემაზე უარის თქმის (უარყოფითი დასკვნის) შემთხვევაში ან იმ შემთხვევაში, თუ საკრებულოს სხდომაზე საკითხის კენჭისყრის დროს იგი უარყოფითად იქნა გადაწყვეტილი, აღნიშნულის თაობაზე მიმართვის ავტორს ეცნობება საკრებულოს თავმჯდომარის წერილით.

1. ქანდაკების განთავსებისთვის დაფინანსება შეიძლება განხორციელდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით, ასევე კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროებიდან მიღებული სახსრებით. ქანდაკების დაფინანსება ნებაყოფლობითობის პრინციპის საფუძველზე მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლება განხორციელდეს სხვა ფიზიკური და იურიდიული პირების სახსრებით.
2. ქანდაკების განთავსებასთან დაკავშირებულ შესაბამის ღონისძიებებს, საკრებულოს განკარგულების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია.

ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესი

1. ეროვნული გმირების, მწერლების, გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების ან/და ღვაწლმოსილი პიროვნებების (შემდგომში – შესაბამისი პიროვნება) სახელის ხსოვნისა და უკვდავყოფის ან ღირსშესანიშნავი მოვლენის (ფაქტის) უკვდავყოფის მიზნით, მემორიალური დაფის განთავსება (დადგმა) შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ შესაბამისი პიროვნების გარდაცვალებიდან ან/და შესაბამისი ღირსშესანიშნავი მოვლენიდან (ფაქტის დადგომიდან) 5 წლის გასვლის შემდეგ. ამასთან, 5 წლის გასვლამდე, აღნიშნული გადაწყვეტილება შესაძლებელია მიღებულ იქნეს საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ ნახევარზე მეტის მხარდაჭერით. მემორიალური დაფა შეიძლება შედგებოდეს ტექსტური ნაწილისა ან/და პიროვნების გამოსახულებისაგან. მემორიალური დაფის ტექსტური ნაწილი სრულდება საქართველოს სახელმწიფო ენაზე. აგრეთვე, ასეთი ტექსტი, ქართულ ენასთან ერთად, შესაძლებელია შესრულდეს სხვა ქვეყნის სახელმწიფო ენაზეც.

2. სხვადასხვა ღირსშესანიშნავი, მნიშვნელოვანი და გამორჩეული მოვლენის (ფაქტის) ხსოვნისა და უკვდავყოფის მიზნით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეიძლება დაიდგას ასეთი ფაქტის (მოვლენის) აღმნიშვნელი ობელისკი. სავალდებულოა ობელისკს საქართველოს სახელმწიფო ენაზე გაუკეთდეს შესაბამისი წარწერა. ასეთი წარწერა ობელისკზე, ქართულ ენასთან ერთად, შეიძლება შესრულდეს სხვა ქვეყნის სახელმწიფო ენაზეც.

3. თუ მემორიალური დაფის განთავსება ხდება ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრებაში არსებულ უძრავ ობიექტზე, მაშინ ამის თაობაზე შესაბამისი წინადადების (მომართვის) არსებობის შემთხვევაში საკრებულო დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებას მემორიალური დაფის განთავსებაზე ასეთი პირისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

4. თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ იქნა დადგენილი, ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსებაზე გადაწყვეტილება მიიღება ამ წესის მე-2 თავით დადგენილი პროცედურების მიხედვით, საქართველოს კულტურის სამინისტროს შეთანხმების გარეშე.

5. მემორიალური დაფის, ობელისკისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსებასთან დაკავშირებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილობითი წინადადებით შეიძლება მიმართოს საკრებულოს წევრმა , მუნიციპალიტეტის მერმა, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, დაინტერესებულმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა ან/და საინიციატივო ჯგუფებმა. მიმართვა უნდა პასუხობდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 78-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

6. საკრებულოში წარდგენილ მიმართვას თან უნდა ერთოდეს:

ა) მიმართვის ავტორის მოტივაცია და დასაბუთება;

ბ) ინფორმაცია ობიექტთან დაკავშირებული ღირსშესანიშნავი მოვლენის თუ გამოჩენილი პიროვნების შესახებ;

გ) ინფორმაცია მემორიალური დაფის, ობელისკის და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების ადგილის შესახებ.

1. ძეგლის (ქანდაკების) , ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განიხილება საქართველოს კანონის „ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით.

2. ამ წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საკრებულოს დადგენილებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კომისიის წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით გამოითქვა შენიშვნები და წინადადებები.

კომისიის წევრის **ვერიკო კვირკველიას** მოსაზრებით, ფიზიკურ პირს სახელდებასთან დაკავშირებით საკრებულოში განცხადების შემოტანის უფლება არ უნდა ჰქონდეს და სასურველია ამ პუნქტის ჩანაცვლება მოხდეს პეტიციით ან საინიციატივო ჯგუფის განცხადების საფუძველზე. აგრეთვე, მისი აზრით, საკითხის განხილვის დროს ძირითად კომისიად განისაზღვროს არა მარტო სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია, არამედ იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიაც.

კომისიის თავმჯდომარის **კარლო კვიტაიშვილის** აზრით, როცა პიროვნებას აქვს იმდენი ღვაწლი, რომ გარდაცვალებიდან 1 წელშიც შეიძლება იზრუნო იმაზე, რომ მისი სახელი უკვდავყო ბიუსტის დადგმით, ეს არის მისასალმებელი.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: გამორჩეული სახელმწიფო მოღვაწის ავთანდილ ჯორბენაძის ძეგლის (ქანდაკების) განთავსებასთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საინიციატივო ჯგუფის მიმართვის შესახებ ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **კარლო კვიტაიშვილმა** და აღნიშნა, რომ ავთანდილ ჯორბენაძე დაიბადა 1951 წელს 31 ოქტომბერს ქალაქ ლანჩხუთში. 1974 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. 1974-1975 წლებში იყო ქ. თბილისის I კლინიკური საავადმყოფოს ექიმი-ინტერნი; 1975-1976 წლებში — 29-ე პოლიკლინიკის ექიმი-თერაპევტი; 1976-1978 წლებში — სსრკ შეიარაღებული ძალების სამხედრო ნაწილის ექიმი; 1978-1982 წლებში თბილისის | კლინიკური საავადმყოფოს ექიმ-რენტგენოლოგი; 1982-1986 წლებში თბილისის I კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე სამკურნალო დარგში; 1986- 1991 წლებში თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს უფროსის I მოადგილე; 1991- 1992 წლებში თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს უფროსი. 1992 წლის 8 იანვრიდან 1993 წლის 6 იანვრამდე საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე სამკურნალო დარგში. 1993 წლის 6 იანვრიდან 1993 წლის 26 მარტამდე საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე; 1993 წლის 26 მარტიდან 1993 წლის 19 ოქტომბრამდე სახელმწიფოს მეთაურის სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე. 1993 წლის 19 ოქტომბრიდან 1999 წლის 10 დეკემბრამდე საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი; 1999 წლის 10 დეკემბრიდან 2001

წლის 22 დეკემბრამდე — საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი. 2001 წლის 22 დეკემბრიდან 2003 წლის 27 ნოემბრამდე სახელმწიფო მინისტრი. 2011 წლიდან გარდაცვალებამდე — აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. არის გამოგონებისა და 6 გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით (1994).

მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ავთანდილ ჯორბენაძის ქანდაკების განთავსებით პატივს მივაგებთ მის ღვაწლს და დამსახურებას ჩვენი ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის წინაშე. პატივისცემის ამგვარი გამოხატვა იქნება ხაზგასმა მისი ფასდაუდებელი შრომის მიმართ ჩვენი პატივისცემისა. საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნაა ძეგლი განთავსდეს ზურაბ თავართქილაძის სახელობის სკვერში.

კომისიის წევრების მიერ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა შენიშვნები და წინადადებები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ **ეკა გუჯაბიძემ** ისაუბრა ავთანდილ ჯორბენაძის ღვაწლის შესახებ და აღნიშნა, რომ მისი ოჯახი დღემდე აქტიურად აგრძელებს ჩვენი მუნიციპალიტეტის გვერდით დგომას. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ იყო საუბარი იმის შესახებ, რომ ძეგლი განთავსებულიყო კლინიკის ეზოში, მაგრამ აღნიშნული ტერიტორია არ არის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის, კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის და ტურიზმის განყოფილების უფროსმა **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ წლების განმავლობაში ვერ მოხერხდა მსოფლიო დონის უდიდესი პოლიტიკოსის ედუარდ შევარდნაძის სახლ-მუზეუმისა და ბიუსტის დადგმა, რაც არის მუნიციპალიტეტის სირცხვილი, ხოლო რაც შეეხება ავთანდილ ჯორბენაძის ბიუსტის დადგმას, ის მიესალმება აღნიშნულ გადაწყვეტილებას, მაგრამ არა ქალაქის ცენტრში და მითუმეტეს გმირად შერაცხილი ზურაბ თავართქილაძის სახელობის სკვერში. კარგი იქნება თუ მისი მშობლიური სოფელი უკვდავყოფს ავთანდილ ჯორბენაძის სახელს.

კომისიის წევრმა **კარლო წილოსანმა** აღნიშნა, რომ ზურაბ თავართქილაძის სახელობის სკვერში აბრაც კი არ არის განთავსებული, თუ ვისი სახელობისაა სკვერი, რაზეც **გიორგი ხელაძემ** გააკეთა განმარტება, რომ ზურაბ თავართქილაძის სახელობის სკვერში მალე გაკეთდება ლამაზი აბრა, რომელიც დაამშვენებს სკვერს.

ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ კომისიის წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საკითხის უფრო საფუძვლიანად შესწავლის მიზნით გაგრძელდეს მსჯელობა ბიუსტის ადგილმდებარეობის შერჩევასთან დაკავშირებით. საინიციატივო ჯგუფს ეთხოვოს წარმოადგინოს არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის პროექტი, ესკიზი და მოდელი, შესასრულებელი მასალის მითითებით.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ჩიბათელი მხედრების სახელობის სკვერში, გურული მხედრების ძეგლის (ქანდაკების) განთავსებასთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საინიციატივო ჯგუფის მიმართვა სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **კარლო კვიტაიშვილმა** და აღნიშნა, რომ ჩიბათელი მხედრების სახელობის სკვერში განსათავსებლად სახელმწიფო მოღვაწემ, ბატონმა ავთანდილ ჯორბენაძემ, რომლის ბაბუა ლაზარე ჯორბენაძე და მისი ძმა კირილე ჯორბენაძე იყვნენ გურული მხედრების ევროპასა და ამერიკაში გამგზავრების ორგანიზატორები, მათი და ჩიბათელი მხედრების (სულ თექვსმეტი კაცის) პატივსაცემად, სამხატვრო აკადემიას დაამზადებინა გურული მხედრების ძეგლი (ქანდაკება).

ჩიბათის მოსახლეობის თხოვნაა, ზემოხსენებული ძეგლი დაიდგას ჩიბათელი მხედრების სახელობის სკვერში.

საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა შენიშვნები და წინადადებები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის, კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის და ტურიზმის განყოფილების უფროსის **ია ჩხაიძის** აზრით, გურული მხედრების მონუმენტური ძეგლი, რომლებმაც სახელი გაუთქვეს ჩვენს ქვეყანას და ტრიუმფით მოიარეს მსოფლიო, ჩიბათის ნაცვლად უმჯობესია დაიდგას ქალაქ ლანჩხუთის ცენტრში, მხედრების მოედანზე, რომელიც 2022 წლის 17 მაისს საზეიმოდ გაიხსნა და იქვე განთავსდეს არა მარტო ჩიბათელი მხედრების ღვაწლის, არამედ მთლიანად ლანჩუთელი მხედრების პატივსაცემად.

კომისიის წევრი **ნინო მშვიდობაძეც** დაეთანხმა აღნიშნულ მოსაზრებას და აღნიშნა, რომ მისი წინაპარიც ცნობილი მხედარი იყო, რომლის აფიშებიც ამშვენებდა მანჰეტენს.

კომისიის წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საკითხის საფუძვლიანად შესწავლის მიზნით გაგრძელდეს მსჯელობა ძეგლის ადგილმდებარეობის შერჩევასთან დაკავშირებით და საინიციატივო ჯგუფს ეთხოვოს დოკუმენტების სრულყოფა.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: **/კარლო კვიტაიშვილი/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის №3 სხდომის დასკვნა

ქ. ლანჩხუთი **02.04.2025 წ.**

2025 წლის 2 აპრილს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

2. გამორჩეული სახელმწიფო მოღვაწის ავთანდილ ჯორბენაძის ძეგლის (ქანდაკების) განთავსებასთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საინიციატივო ჯგუფის მიმართვის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

3. ჩიბათელი მხედრების სახელობის სკვერში, გურული მხედრების ძეგლის (ქანდაკების) განთავსებასთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საინიციატივო ჯგუფის მიმართვის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გათვალისწინებით.

მომხრე 6; წინააღმდეგი არც ერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: **/კარლო კვიტაიშვილი/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი

02.04.2025 წელი
16:00 საათი

1. კარლო კვიტაიშვილი	15 55	
2. ნინო მშვიდობაძე	16:00	
3. დარეჯან ბურჭულაძე	არ ესწრებიდ	
4. ლოლიტა ურუშაძე	16 00	
5. კარლო წილოსანი	16 00	
6. მაკა მშვიდობაძე	არ ესწრებიდ	
7. გოჩა ჯანაშია	არ ესწრებიდ	
8. რევაზ კვერენჩხილაძე	16 00	
9. ელისო ჭიჭინაძე	არ ესწრებიდ	
10. ვერიკო კვირკველია	16.00	